საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო

Legal Entity of Public Law
SOCIAL SERVICE
AGENCY

ს/კ 202178927

SSA 2 23 00527163

19/05/2023

მოქალაქე ელენე ნოდიას (პირადი №01001101451)

ქალბატონო ელენე,

თქვენი განცხადების (N479615, 05.05.2023წ.) პასუხად, გაცნობებთ, რომ დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა წარმოადგენს ,,მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების" (27 02 02) ქვეპროგრამის ღონისძიებას. აღნიშნული ღონისძიება კი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით ცალკე არ მტკიცდება.

ამასთან, გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, 2018-2023 წლებში საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობების და ბენეფიციარებზე გადარიცხული თანხის შესახებ. ასევე, დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N 262 დადგენილებით დამტკიცებულ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამას".

ასევე, გაცნობებთ, რომ სტატისტიკური ინფორმაცია სააგენტოს ადმინისტრირების სფეროში შემავალი გასაცემლების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე: www.ssa.moh.gov.ge

დანართი: 2 ფაილი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დეპარტამენტის უფროსი
თამარ ცხვიტარია

საქართველო, თბილისი 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. N 51
51 Ivane Javakhishvili str., 0102 Tbilisi, Georgia